



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეაბჯრე

მეაბჯრე (ისტ.), აბჯრის მტვირთველი, საჭურველთმტვირთველი. 1. დიდგვარიანი მხედრის (რაინდის) აბჯრის (საჭურველის) მზიდავი ახალგაზრდა მეომარი. როგორც საგანგებო თანამდებობა, ეძლეოდათ წარჩინებული პირების შვილებსაც. მაგ., სარგის II ჯაყელი (1306-41) „აღზრდილი იყო აბჯრის მტვირთველად“; 2. აბჯრის მწე (მოხელე, განმგებელი) ძვ. საქართველოში, იგივე ჯაბადარი (ჯაბახანის გამგე). ემორჩილებოდა ამილახორის თანამშემწეს – მეაბჯრეთუხუცესს.

ლიტ.: ჩოლოყაშვილი კ., ქაფიანიძე მ., ქართული საჭურველი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ.1, თბ., 2000; ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3-4, თბ., 1962.

ი. შაიშველაშვილი.
